

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ნ.მაღაშხია-ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი

2. სხვადასხვა საკითხები.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა
განვითარების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N1**

ქ.ზუგდიდი

26 იანვარი 2017 წელი

12:00 სთ-ზე

2017 წლის 26 იანვარს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: თ.მარკოზია, ს.გოგოხია, რ.თორდია, გ.ნაჭყეზია, ე.ახალაია, გ.სორდია, ვ.სურმავა, მ.ხვიჩია, რ.ფიფია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ზ.ხუბუა, თ. თორდია, ლ.თოდუა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ნუგზარ მალაშხია-ააიპ „ზუგდიდისუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთვრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 12 წევრიდან 9 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ნ.მაღაშხია-ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 13 იანვარს N14 შემოსულია ა.ა.ი.პ. „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს წერილი (რეგისტრაციის N24/03 13.01.2017), რომელიც შეეხება 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ნ.მაღაშხიას განმარტებით, 2016 წელს ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების მართვის სფეროში მომსახურეობა ხორციელდებოდა და სამუშაოები სრულდებოდა გეგმით გათვალისწინებულის ფარგლებში. 2016 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომსახურეობა ეწეოდა 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ცენტრებს და ქალაქის მიმდებარე

სოფლების(ინგირი, რუხი,ჭითაწყარი) მოსახლეობისდ გარკვეულ ნაწილს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა კატეგორიის ურნები, სულ 415 ცალი, მათ შორის ანაკლია-განმუხურში 74 ცალი, სხვა სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში 341 ცალი. ურნები განთავსებულია ძირითადად ტერიტორიული ერთეულების ცენტრებში.

2016 წელს 48 ტერიტორიულ ერთეულში ყოველდღიურად ჯამურად ხდებოდა 40 ჰა-ზე ცელოფნებით,პლასტმასის ნაკეთობებით, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის ადგილებში მიმოყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან დაბინძურებული ტერიტორიების აკრეფა-დაწმენდა დაგვა. ხორციელდებოდა სოფლების ტერიტორიული ერთეულების ცენტრების, სოფლამდე მისასვლელი, აგრეთვე ქალაქში შესასვლელი და ქალაქიდან გასასვლელი, სოფლებზე გამავალი მთავარი გზების, სულ დაახლოებით 550-600 კმ-ის, ნარჩენებისა და საყოფაცხოვრებო ნაგავისაგან ყოველდღიური გაწმენდის სამუშაოები. ანაკლია-განმუხურში ყოველდღიურად იგვებოდა 2.5.ჰა-მდე ფართობ, ზღვის ნაყარისაგან ყოველკვირეულად იწმინდებოდა ზღვის სანაპირო ზოლის 3-4 ჰა.

საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად გაიზიდებოდა საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ნაგავი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილნაცვალ პირთა ჩასახლების ადგილიდან, კერძოდ, ინგირის ყოფილი მეურნეობის დასახლებიდან, ე.წ. „ვექტორის“ დასახლებიდან, სოფელ ონარის ტერიტორიული ერთეულიდან, ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ბინების მიმდებარე ტერიტორიიდან. მომსახურეობა გაეწია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 150-ზე მეტ საბიუჯეტო, სასწავლო, სამედიცინო, კომერციულ და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. მუნიციპალიტეტის 48 ტერიტორიულ ერთეულს ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ემსახურებოდა 2 „ფორდი“-ს მარკის ორხიდიანი ნაგავმზიდი. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე დასაქმებული მანქანების გამოყენებაც. 2016 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავსაყრელში გაზიდულია 41465მ³-ზე მეტი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი. საშუალოდ დღეში ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა 115მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

2016 წელს ააიპ „ზუგდიდდსუფთავების ცენტრი“-ს მუშა-მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს დასუფთავების სხვადასხვა ერთჯერად აქციებში, რომელიც ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. 2016 წლის 16, 17 და 18 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული გარემოსდაცვით კამპანიაში „დავასუფთაოდ მსოფლიო“ მონაწილეობა მიიღო 1500-ზე მეტმა პირმა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებული იქნა 15 ჰა-ზე მეტი ფართობი.

ააიპ „ზუგდიდდსუფთავების ცენტრში“ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების მიმდინარეობას აკონტროლებენ ბრიგადირები და კონტროლიორთა ჯგუფები.

ააიპ „ზუგდიდდსუფთავების ცენტრი“-ს 2106 წლის საბიუჯეტო შემოსავლებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭრილში შეადგინა 1630.0 ათასი ლარი. შემოსავლების დანახარჯების სტრუქტურა კი ასეთია:

1. გაცემულია შრომის ანაზღაურებაზე 1352,6 ათასი ლარი.
2. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლის შენახვის ხარჯებმა შეადგინა 194,9 ათასი ლარი;

მათ შორის:

- საწვავ-საცხები მასალების შეძენაზე დაიხარჯა 125,8 ათასი ლარი;
სათადარიგო ნაწილების შეძენაზე, სარემონტო სამუშაოებზე და ავტომანქანების ექსპლოატაციაზე დახარჯულია 69,2 ათასი ლარი;
3. სპეცტანსაცმლის, სხვადასხვა მცირეფასიანი საქონლის და ინვენტარის შეძენის დანახარჯებმა შეადგინა 11,4 ათასი ლარი;
 4. ოფისის ხარჯებმა შეადგინა 5,0 ათასი ლარი
 5. სხვა დანახარჯებმა (სხვადასხვა საქონლის შეძენა და სახელშეკრულებო მომსახურებები) შეადგინა 65,0 ათასი ლარი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთავარი ამოცანაა სოფლის მოსახლეობის მომსახურებით უზრუნველყოფა კარდაკარ შემოვლის მეტოდით, რასაც დიდი რაოდენობით მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და ფინანსური რესურსები სჭირდება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობა სეროიზულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წელს შეძენილ იქნა „ფორდი“-ს მარკის ორხიდიანი 2 ახალი ნაგავმზიდი მანქანა, 90 ცალი 1,1მ³ ტევადობის ლითონის კონტეინერები, 450 ცალი სხვადასხვა ტევადობის პლასტმასის ურნები, 1 ცალი ზღვის სანაპიროს გამწმენდი უნივერსალური ტრაქტორი მისაბმელით.

გარდა ამისა, 2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეძენილი იქნება 3 „მერსედესი“-ს მარკის ნაგავმზიდი ავტომანქანა და 100 ცალი ევროკონტეინერი. არსებული და გამოყოფილი ტექნიკა (სულ 5 ერთეული) საკმარისია შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის, მაგრამ არასაკმარისია არსებული კონტეინერების რაოდენობა და აქედან გამომდინარე საჭიროა შეძენილ იქნას:

- 1,1 მ³ ტევადობის მეტალის ურნები 3583 ცალი;
- 240 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ურნები 770 ცალი;
- 50-80 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ურნები 533 ცალი.

რაიონის მასშტაბით ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზონის, სოფ.დარჩელის ცენტრის, „რუხი-მოლი“-ს, ინგირის, ზედაეწერის, სხვა დანარჩენი სოფლების ტერიტორიული ერთეულების, მაღალ დონეზე და ხარისხიანად მომსახურების უზრუნველსაყოფად და გადაუდებლად ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელია შექმნილ იქნეს:

- ზღვის ქვიშიანი სანაპირო ზოლის ქვებისაგან განწმენდი (ქვის შემგროვებელი) კომბაინი;
- ბულდოზერ-ექსკავატორი;
- საკურორტო ზოლში ტროტუარებისა და სკვერების დამლაგებელი მანქანა 2 ერთეული;
- გზის გამრეცხი წყლის მშხეფი მანქანა 1 ერთეული;
- ასენიზაციის სპეცმანქანა 1 ერთეული;
- თვითმცლელი ავტომანქანები ქუჩებისათვის 5-6-მ³ ტევადობის 5 ერთეული;
- ტრაქტორი,თვითმცლელი მისაბმელით 1 ერთეული;
- თვითმცლელი მოტოროლერები 5 ერთეული;
- მცირე ზომის ურნების ამღები კომპაქტური ნაგავმზიდი 1 ერთეული ააიპ „ზუგდიდდსუფთავების ცენტრი“-ს შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა 2017 წლისათვის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს მხარდაჭერით წარმატებით შეასრულებს მას.

დაადგინეს: ააიპ „ზუგდიდდსუფთავების ცენტრი“-ს 2016 წლის გაწეული სამუშაოს შესრულების ანგარიში შეფასებულ იქნა დადებითად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თ.მარკოზია